დეკანის მოვალეობის შემსრულებლის

ბრძანება

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისსოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ნიჭიერი სტუდენტების პრეზიდენტის სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 30–ე მუხლის მე–4 პუნქტისა და რექტორის 2012 წლის 11დეკემბრის №166/01–01 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ნიჭიერი სტუდენტების პრეზიდენტის სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **კომისიის თავმჯდომარე: რევაზ ჯორბენაძე** - დეკანის მოადგილე;

ბ) **წევრები:**

მარინა ბურძენიძე - სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი;

ეკატერინე ფირცხალავა - ფსიქოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი;

თამარ ქარაია - პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ-პროფესორი;

მაგდა მემანიშვილის - ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნუკაციის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი;

მერი მაღლაკელიძე - საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების მოწვეული სპეციალისტი.

2. დაევალოს კომისიას კომისიის აპარატის მიერ მიწოდებული პრეზიდენტის სტიპენდიანტობის კანდიდატ სტუდენტთა განაცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება რექტორის 2012 წლის 11 დეკემბრის №166/01-01 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, პრეზიდენტის სტიპენდიანტობის რეიტინგის მიხედვით საუკეთესო 60 (სამოცი) კანდიდატის შერჩევა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლისათვის წარმოდგენა არაუგვიანეს 2012 წლის 18 დეკემბრის 17:00 საათისა (დანართი №1).

3. პრეზიდენტის სტიპენდიანტობის კანდიდატ სტუდენტთა განაცხადებების მიღებისა და დამუშავების მიზნით, შეიქმნას კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის აპარატის ხელმძღვანელი: **ნათია მონიავა** - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი;

ბ) წევრები:

თამარ გოგორიშვილი - სოციალოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულებების უფროსი სპეციალისტი;

თეა ხუნდაძე - საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების უფროსი სპეციალისტი;

მაია ჟღენტი - საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების უფროსი სპეციალისტი;

ნათია დათიაშვილი - პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების უფროსი სპეციალისტი;

თამარ შუბითიძე - ფსიქოლოოგიისმიმართულების უფროსი სპეციალისტი;

თამარ ხიდაშელი - ფსიქოლოგიის მიმართულების უფროსი სპეციალისტი;

ნინო ქუფარაშვილი - ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების უფროსი სპეციალისტი;

ნათია ბერაძე - ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

4. დაევალოს კომისიის აპარატის წევრებს, მიმართულებების მიხედვით უზრუნველყონ პრეზიდენტის სტიპენდიანტობის კანდიდატ სტუდენტთა განაცხადებების მიღება, დამუშავება და კომისიისათვის გადაცემა ყოველი სამუშაო დღის ბოლოს.

5. პრეზიდენტის სტიპენდიანტობის კანდიდატ სტუდენტთა განაცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 12 დეკემბრიდან 2012 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით (12-14 დეკემბერი: 10:00-დან 18:00 საათამდე; 15 დეკემბერი: 11:00-დან 14:00 საათამდე; 17 დეკემბერი: 10:00-დან 15:00 საათამდე) მიმართულებების მიხედვით გამოყოფილ ოთახებში (იხ. დანართი №2).

6. პრეზიდენტის სტიპენდიანტობის კანდიდატ სტუდენტის განცხადებას (დანართი №3) უნდა ერთვოდეს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ს. ს. „საქართველოს ბანკიდან“ ანგარიშის ნომრის ამონაწერი;

გ) წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ 30 კრედიტი), რომელიც გაიცემა შესაბამის მიმართულებაზე;

დ) წინა სემესტრში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ი;

ე) წინა სემესტრის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენცია/კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

7. ფაკულტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს კომისიისა და კომისიის აპარატის წევრებისათვის ამ ბრძანების გაცნობა, ასევე ფაკულტეტზე ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

8. ბრძანება განთავსდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.

9. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანის მ.შ. **ანდრო ბარნოვი**